ხელშეკრულება №97
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ბორჯომი 18 იანვარი 2021 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო

ერთის მხრივ **ა(ა)იპ ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობა** (ბორჯომი მესხეთის ქ.№146ა) საიდენტიფიკაციო კოდი 426111897, (შემდგომში "შემსყიდველი") მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის დირექტორის **გიორგი გელაშვილი** სახით

და მეორეს მხრივ **შპს „პოლიგრაფი"** (ქ.თბილისი, ქსანის ქ.12) საინდეტიფიკაციო კოდი 400007899 (შემდგომში „მიმწოდებელი"),მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის დირექტორის **გიორგი ღურბელაშვილის** სახით

ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-9 მუხლის გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშკრულების შესყიდვის ობიექტის დასახელება

- ა(ა)იპ ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობისათვის სატრანსპორტო საგზაო ბარათების შესყიდვა **(CPV 22458000-შეკვეთით ნაბეჭდი მასალა)**
- 1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობა მოცემულია ფასების ცხრილში-დანართი N1.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულება შეადგენს:

- **455,00 ოთხას ორმოცდა თხუთმეტი ლარი და ნული თეთრი. (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი").**

2.2 ხელშეკრულების 2.1 პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მოსაკრებელი და გადასახადი.

2.3 საქონლის საორიენტაციო მოცულობა და ერთეულის ფასი მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ დროს. დანართი №1 წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1 მომწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს სატრანსპორტო საგზაო ბარათები პერიოდულად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად. **2021 წლის 18 იანვრიდან – 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით**

3.2 მომწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი შეუფერხებლად.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარება მოხდება ერთიანად სასაქონლო ზედნადებისა ან/და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4.2 შესყივის ობიექტის ან მისი ნაწილის შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტების ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები დაწუნებული შესყიდვის ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ადგილი

5.1. დაფინანსების წყარო **2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.**

5.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება **უნაღდო** ანგარისწორების ფორმით.

5.3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მომსახურეობის გაწევის შემდეგ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენიდან **10 კალენდარული** დღის განმავლობაში.

6. ანგარიშსწორების ვალუტა

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება ხელშეკრულების ღირებულების 0,3% ოდენობის პირგასამტეხლო, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოწვითვის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდის გზით. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
10.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3%-ს ოდენობით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი ეტყობინების შემდეგ:
(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ლშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულებხს შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი

14 სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. ხელშეკრულების ენა

16.1 ხელშეკრულება დაწერილია ქართულ ენაზე.

17. გადასახადები და დაბეგვრა

17.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი საქონლის წარმოებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

17.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18. ხელშკრულების მოქმედების ვადა

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის თარიღიდან **2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

ყოველივე ზემოხსენებულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მოთითებულ დღესა და წელს.

ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლიარად, თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან 1 (ერთი) გადაეცემა მიმწოდებელს ხოლო 1 (ერთი) შემსყიდველს.

19.მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

"შემსყიდველი"

ა(ა)იპ ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობა, მის. ბორჯომი მესხეთის ქ. №146ა ს/კოდი 426111897, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, სახაზინო კოდი 748337499, ბანკის კოდი TRESGE22 ხაზინის ერთიანი ანგარიში, სხვა შემოსულობები, ელ-ფოსტა: borjomisdasuptaveba2015@gmail.com , ტელ. 0367 22 29 54

"მიმწოდებელი"

შპს „პოლიგრაფი" (ქ.თბილისი, ქსანის ქ.12) საინდეტიფიკაციო კოდი 400007899, თიბისი ბანკი, ბანკის კოდი: TBCBG22, ა/ანგ. GE86TB7940336020100002, მობ. 555699035. ელ-ფოსტა

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ა(ა)იპ ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობის დირექტორი	**შპს „პოლიგრაფი"-ს** დირექტორი

Borjomi Cleaning and Landscaping

_____	_____
გიორგი გელაშვილი	გიორგი ღურბელაშვილი